N 2849 2015 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ სსიპ - იუსტიციის სახლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, აღსრულების ეროვნულ ბიუროსა და მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ, მათი უფლებამოსილების ფარგლებში გასაცემი სერვისების მომხმარებლებისთვის, „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიწოდების უზრუნველყოფის მიზნით, სსიპ - იუსტიციის სახლისგან 2016 წლის

განმავლობაში საჭირო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვები განხორციელდეს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იუსტიციის სახლი, ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული სახელმწიფო შესყიდვებისას, გათავისუფლდეს ხელშეკრულების უზრუნველყოფის ან/და წინასწარ გადასახდელი თანხის საბანკო გარანტიების წარდგენისაგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**